

შეთანხმებულია
სსიპ სსსტც "დელტა"-ს
გენერალური დირექტორი

უჩაძე დიმიტრი
"03" "06" 2019 წ.



დამტკიცებულია
სსიპ გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტის დირექტორი

ნიკოლოზ ჩიხრაძე
"04" "06" 2019 წ.



სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
თანამდებობების სამუშაოთა აღწერა

ქ. თბილისი
2019 წელი

სარჩევი

ზოგადი დებულებები	3
ადმინისტრაცია	3
ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველო	5
საფინანსო სამსახური	8
მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიების ცენტრი	11
- მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორია - ჰიბრიდული კომპოზიტების კვლევის ლაბორატორია - საბადოთა დამუშავების ლაბორატორია - ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორია - საბაგირო სისტემების ლაბორატორია	
აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილება	27
- ფეთქებადი მასალების კვლევის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორია - მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორია - აფეთქებისგან დაცვის ტექნოლოგიების ლაბორატორია	
საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრი	38
- პროექტირების ჯგუფი - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჯგუფი - ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორია	
სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტი	47
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი	50
- სახელმწიფო შესყიდვების ჯგუფი - სხვა დამხმარე პერსონალი	

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში

თანამდებობების სამუშაოთა აღწერა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში თანამდებობების სამუშაოთა აღწერა“ ადგენს სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში (შემდგომში – ინსტიტუტი) არსებული თანამდებობების ფუნქციონალური მოვალეობების აღწერას.

თავი II

ადმინისტრაცია

მუხლი 2. დირექტორის მოადგილე - სამეცნიერო დარგში

- საკურატორო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია, ხელშეწყობა, ზედამხედველობა და კონტროლი;
- მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება;
- დირექტორის არყოფნისას მისი მოვალეობის შესრულება;
- საიდუმლოების რეჟიმის ობიექტის ხელმძღვანელობა;
- ინსტიტუტის ორგანიზაციული აღწერის, თანამდებობების სამუშაოთა აღწერის და თანამდებობების დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტების მომზადების ხელმძღვანელობა;
- ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ზედამხედველობა და კოორდინაცია უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ინსტიტუტში მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესის კოორდინაცია;
- კონფერენციების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების კოორდინაცია;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექტორის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 3. დირექტორის მოადგილე - საკონსტრუქტორო კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის კოორდინატორი

- საკურატორო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია, ხელშეწყობა, ზედამხედველობა და კონტროლი;
- მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება;

- დირექტორის და დირექტორის მოადგილის-სამეცნიერო დარგში არყოფნისას დირექტორის მოვალეობის შესრულება;
- მიმდინარე საპროექტო სამუშაოების და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების კოორდინაცია და ზედამხედველობა;
- ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის და ტერიტორიის კეთილმოწყობასა და მოვლის ხელმძღვანელობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექტორის სხვა დავალებების შესრულება.

თავი III

ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველო

მუხლი 4. სამმართველოს უფროსი, საიდუმლო საქმისწარმოებელი

- სამმართველოს საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით:
- ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანის, დაწინაურების, წახალისების, პრემირების, მივლინების, შვებულების, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისა და სხვა სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა;
 - სამუშაო ადგილისა და ხელფასის, სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის თაობაზე ცნობების გაცემის უზრუნველყოფა;
 - ინსტიტუტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების უზრუნველყოფა;
 - ინსტიტუტის შრომის შინაგანაწესის შემუშავებაში, ატესტაციებისა და კონკურსების ორგანიზებაში მონაწილეობა;
 - ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომის წიგნაკებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების აღრიცხვა-წარმოების კონტროლი;
 - ინსტიტუტის თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების უზრუნველყოფა;
- საიდუმლო და არასაიდუმლო საქმისწარმოების მიმართულებით:
- კორესპონდენციების რეგისტრაციის და დამუშავების უზრუნველყოფა;
 - შემოსული და გასული კორესპონდენციის სათანადო წესით შენახვის უზრუნველყოფა;
 - კორესპონდენციების შესაბამისი წესით გაგზავნის უზრუნველყოფა;
 - ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებების დარეგისტრირების უზრუნველყოფა;
 - დაწესებულების დოკუმენტების ტაბელისა და უნიფიცირებული ფორმების ალბომების პროექტების დამუშავება, დანერგვა და წარმოება;
 - საარქივო დოკუმენტაციის დამუშავების უზრუნველყოფა;
 - ინსტიტუტის ორგანიზაციული აღწერის, თანამდებობების სამუშაოთა აღწერის და თანამდებობების დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში განახლება;
 - თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობებისა და სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმების დადგენა;
 - თანამშრომელთა მოძრაობის და დენადობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, პერიოდული ანალიზი, შეფასება;
 - კომპეტენციის ფარგლებში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება;
 - სამმართველოს თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა;

- სამმართველოს თანამშრომლებს შორის ფუნქციების და დავალებების განაწილება და კონტროლი მათ შესრულებაზე;
- სამმართველოს თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეთანხმება;
- კონტროლი სამმართველოს თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;
- კონტროლი სამმართველოს თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 5. იურისტი

- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტის სამართლებრივი უზრუნველყოფა, დირექტორის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, ინსტიტუტში მომზადებული სამართლებრივი აქტებისა და სხვა შესაბამისი აქტების/დოკუმენტების პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ინსტიტუტში მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა, შესაბამისი დასკვნების მომზადება;
- საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დირექტორის, მისი მოადგილეების და ინსტიტუტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;
- ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა/კოორდინაცია;
- სპეციალური მინდობილობის/რწმუნებულობის საფუძველზე, ინსტიტუტის წარმომადგენლობა და ინტერესების დაცვა სასამართლოში, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან, აგრეთვე, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში;
- სამართლებრივ სფეროსთან დაკავშირებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და სამმართველოს უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 6. სპეციალისტი

- საქმისწარმოების ერთიანი წესების, სახელმწიფო სტანდარტების და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელება;
- ინსტიტუტის თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანის, დაწინაურების, ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებების პროექტების მომზადება;
- სამუშაო ადგილისა და ხელფასის, სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის თაობაზე ცნობების მომზადება;
- ინსტიტუტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება;
- ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომის წიგნაკებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების აღრიცხვა-წარმოება;
- ინსტიტუტის მოსამსახურეთა შრომითი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება;
- საარქივო დოკუმენტაციის პირველადი დამუშავება;
- დოკუმენტაციის მონაცემთა ბაზის შექმნა;

- ინსტიტუტში საიდუმლო საქმის წარმოება და საიდუმლო კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის პროცედურების დაცვა კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და სამმართველოს უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 7. საქმისწარმოებელი

- ინსტიტუტის თანამშრომელთა წახალისების, პრემირების, მივლინების, შვებულების, დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადება;
- შემოსული და გასული კორესპონდენციის დარეგისტრირება;
- შემოსული და გასული კორესპონდენციის სათანადო წესით შენახვაზე პასუხისმგებლობა;
- კორესპონდენციების შესაბამისი წესით გაგზავნა;
- ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებების დარეგისტრირება;
- საარქივო დოკუმენტაციის პირველადი დამუშავება;
- დოკუმენტაციის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ინსტიტუტში საიდუმლო საქმის წარმოება და საიდუმლო კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის პროცედურების დაცვა კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და სამმართველოს უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 8. აღმრიცხველი/არქივარიუსი

- დაწესებულებაში თანამშრომელთა შემოსვლისა და გასვლის აღირცხვა, დღის განმავლობაში სამუშაო ადგილზე მათი ყოფნის პერიოდული შემოწმება;
- სახელფასო ტაბელების მომზადება;
- თანამშრომელთა გადაადგილების ელექტრონული ჩანაწერების დამუშავება;
- სარეგისტრაციო ჟურნალის სისტემატური წარმოება;
- ინსტიტუტის ადმინისტრაციის ყოველდღიური ინფორმაციით უზრუნველყოფა, თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადების და გასვლის დროის რეჟიმის დარღვევის შესახებ;
- საარქივო დოკუმენტაციის დამუშავება კანონმდებლობის შესაბამისად;
- საარქივო მასალის პირველადი დამუშავებისთვის კონსულტაციის გაწევა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და სამმართველოს უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

თავი IV საფინანსო სამსახური

მუხლი 9. სამსახურის უფროსი-მთავარი ბუღალტერი

- საფინანსო სამსახურის საქმიანობის კოორდინაცია და მართვა;
- შემოსულ კორესპოდენციის გაცნობა და შესაბამისი რეგირება;
- ორგანიზაციის ბიუჯეტის პროექტის მომზადებასა და საბიუჯეტო ასიგნებათა განაწილებაში მონაწილეობის მიღება;
- საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერა და საჭიროების შემთხვევაში მათში ცვლილებების განხორციელება;
- პროგრამების ეკონომიკური ხარჯთაღრიცხვის განხილვა და შეთანხმება;
- კვარტლის ბოლოს რესურსის გაანგარიშება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისად;
- სახელმწიფო ხაზინაში გასაგზავნი სხვადასხვა ვალდებულებების და საგადასახადო მოთხოვნების დამოწმება და შესაბამისი რეაგირება;
- ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით მარაგებისა და ნაკადების აღრიცხვის უზრუნველყოფა;
- მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების თავისდროული დარიცხვისა და გაცემის, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორებათა სრული და თავისდროული აღრიცხვის უზრუნველყოფა;
- ბუღალტრული ჩანაწერების და გატარებების განხორციელება საბუღალტრო პროგრამის მოდულში;
- საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვის შესახებ ყოველკვარტალური და ყოველწლიური ანგარიშების მომზადება და მაკონტროლებელი ორგანიზაციისთვის წარდგენა კანონმდებლობის შესაბამისად;
- წლიური და კვარტალური ბალანსის ფორმების შედგენა;
- საგადასახადო ორგანოში ყოველთვიურად თანამშრომელთა ხელფასებიდან და მომსახურებიდან დაკავებული საშემოსავლო და ბიუჯეტის კუთვნილი თანხების (გადასახადების) დათვლა, გაანგარიშება და ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების შესახებ დეკლარაციის ელექტრონული ვერსიით წარდგენის უზრუნველყოფა;
- არასაბიუჯეტო შემოსავლების ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობა;
- გრანტების და ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლების ხარჯების აღრიცხვის უზრუნველყოფა;
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 10. ინჟინერ-ეკონომისტი

- ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვა - ინვენტარიზაცია;
- დეფექტური აქტების, ხარჯთაღრიცხვების, შესრულებულ სამუშაოთა, ასევე გამოყენებული მარაგების ჩამოწერის აქტების შედგენა;

- ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის დოკუმენტაციის მომზადება;
- სამუშაო რეჟიმების გათვალისწინებით, ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადების განსაზღვრა-დაზუსტება;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და სამსახურის უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 11. უფროსი ბუღალტერი

- ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების – ბანკის, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერებსა და შრომის ანაზღაურების დოკუმენტაციის დამუშავება და საბუღალტრო პროგრამაში შეტანა;
- ხელშეკრულებების, ვალდებულებების, მოთხოვნების, მივლინებების, ხელფასების – ატვირთვა ხაზინის ელექტრონულ სისტემაში;
- ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით მარაგებისა და ნაკადების აღრიცხვა;
- მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების თავისდროული დარიცხვა;
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა;
- შემოსულ კორესპოდენციის გაცნობა და შესაბამისი რეგირება;
- ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით მარაგებისა და ნაკადების აღრიცხვა;
- მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების თავისდროული დარიცხვა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორებათა სრული და თავისდროული აღრიცხვა;
- წლიური და კვარტალური ბალანსის ფორმების შედგენაში მონაწილეობა;
- საგადასახადო ორგანოში ყოველთვიურად თანამშრომელთა ხელფასებიდან და მომსახურებიდან დაკავებული საშემოსავლო და ბიუჯეტის კუთვნილი თანხების (გადასახადების) გაანგარიშება და ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების შესახებ დეკლარაციის ელექტრონული ვერსიით წარსადგენად მომზადებაში მონაწილეობა;
- გრანტების და ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლების ხარჯების აღრიცხვა;
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და სამსახურის უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 12. ბუღალტერი

- სამეურნეო მოვლენის ამსახველი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების – ბანკის, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერებსა და შრომის ანაზღაურების დოკუმენტაციის დამუშავება და საბუღალტრო პროგრამაში შეტანა.

- ხელშეკრულებების, ვალდებულებების, მოთხოვნების, მივლინებების, დამოწმებების, ხელფასების – ატვირთვა ელექტრონულ ხაზინაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით მარაგებისა და ნაკადების აღრიცხვა
- მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების თავისდროული დარიცხვა.
- იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო მოვლენის შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და თავისდროული აღრიცხვა.
- არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა.
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და სამსახურის უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

თავი V

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიების ცენტრი

მუხლი 13. ცენტრის ხელმძღვანელი, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

- ცენტრის ხელმძღვანელობა, სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა;
- ცენტრის ბიუჯეტის პროექტის, სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და პერსპექტიული სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავება და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა შესათანხმებლად;
- ინსტიტუტის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ცენტრზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით პროექტების წარადგენა საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ცენტრის სემინარული მუშაობის ხელმძღვანელობა;
- ცენტრის სამეცნიერო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა;
- ცენტრის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება, დავალებების გაფორმება და მათი მხრიდან შესრულების კონტროლი;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- ცენტრის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეთანხმება;
- ინსტიტუტის დირექტორისთვის ცენტრის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;
- საიდუმლო დოკუმენტებზე და მასალებზე მუშაობის კონტროლი;
- სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების შემუშავების ორგანიზება და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა;
- დირექციის წინაშე შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენა;
- საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში მონაწილეობა;
- კონტროლი ცენტრის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;
- წინადადებების წარმოდგენა ცენტრის თანამშრომელთა წახალისების ან სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე;
- წინადადების მომზადება სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით;
- სამეცნიერო სემინარების ორგანიზება;

- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

თავი VI

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიების ცენტრის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ლაბორატორია

მუხლი 14. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა ცენტრის დებულების, პროგრამის და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) დამოუკიდებლად განსაზღვრა და ცენტრის ხელმძღვანელის რეკომენდაციით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა;
- ლაბორატორიის პერსპექტიული კვლევების სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და ცენტრის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- ცენტრის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- ცენტრის ხელმძღვანელთან და სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით პროექტების წარდგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალხარისხიანად შესრულების მიზნით ლაბორატორიული ბაზების სრულყოფაში და სამეცნიერო შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 15. მეცნიერი თანამშრომელი

- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა ცენტრის დებულების, პროგრამის და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) დამოუკიდებლად განსაზღვრა და ცენტრის ხელმძღვანელის რეკომენდაციით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა;
- ლაბორატორიის პერსპექტიული კვლევების სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;

- სტატიების, ნაშრომების მომზადება და ცენტრის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- ცენტრის ხელმძღვანელის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- ცენტრის ხელმძღვანელთან და სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით პროექტების წარდგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით ლაბორატორიული ბაზების სრულყოფაში და სამეცნიერო შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 16. სპეციალისტი

- საქმიანობის წარმართვა ცენტრის დებულების და პროგრამის შესაბამისად;
- ლაბორატორიის სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა;
- საველე პირობებში ქანების სინჯების ნიმუშების აღება და მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად;
- ექსპერიმენტული სამუშაოების შესრულება ქანების მასივის მდგრადობის უზრუნველყოფის საინჟინრო საშუალებების გაანგარიშების მიზნით;
- სამთო-ტექნიკური შენობების და მიწისქვეშა ნაგებობების დაპროექტების კონკრეტული ამოცანებისთვის საჭირო საწყისი მონაცემების შეგროვება და დამუშავება;
- მასივის მდგრადობის უზრუნველყოფის საინჟინრო საშუალებების გაანგარიშებებში მონაწილეობა;
- კონკრეტული სამიზნე საშიში უბნების ტერიტორიის ჰიდრომეტეოროლოგიური და სეისმური საანგარიშო მაჩვენებლების დახასიათება;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 17. ინჟინერი

- საქმიანობის წარმართვა ცენტრის დებულების და პროგრამის შესაბამისად;
- ლაბორატორიის სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა;
- საველე პირობებში ქანების სინჯების ნიმუშების აღება და ტრანსპორტირება მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ქანების ნიმუშების მომზადება მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლის მიზნით;
- სამთო-ტექნიკური შენობების და მიწისქვეშა ნაგებობების დაპროექტების ამოცანებისთვის საჭირო საწყისი მონაცემების მოძიება, ანგარიშების გრაფიკული გაფორმება;

- კონკრეტულ სამიზნე საშიში უბნების ტერიტორიის ჰიდრომეტეოროლოგიური და სეისმური საანგარიშო მაჩვენებლების შეგროვება;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

თავი VII

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიების ცენტრის ჰიბრიდული კომპოზიტების კვლევის ლაბორატორია

მუხლი 18. ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

- ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა, სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა;
- სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ორგანიზება და ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- ლაბორატორიის კვლევის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ლაბორატორიაზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- პროექტების მომზადება და დასაფინანსებლად წარდგენა საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით;
- ლაბორატორიის საქმიანობის წარმართვა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტული ტექნიკური პირობების, ნორმების - წესების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ლაბორატორიის სემინარული მუშაობის ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება, დავალებების გაფორმება და მათი მხრიდან შესრულების კონტროლი;
- ლაბორატორიის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეთანხმება;
- ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ლაბორატორიის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა ინსტიტუტის დირექტორისთვის;
- საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლი;

- ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ლაბორატორიის შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენა დირექციის წინაშე;
- ლაბორატორიის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში მონაწილეობა;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;
- ლაბორატორიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზება დადგენილი წესის მიხედვით;
- ორგანიზება და პასუხისმგებლობა სხვა ორგანიზაციებთან ლაბორატორიის პროფილით თანამშრომლობისათვის აუცილებელი მასალების, სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 19. მეცნიერი თანამშრომელი

- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა ცენტრის დებულების, პროგრამის და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) დამოუკიდებლად განსაზღვრა და ლაბორატორიის გამგის რეკომენდაციით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა;
- ლაბორატორიის პერსპექტიული კვლევების სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და ლაბორატორიის გამგის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- ლაბორატორიის გამგის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- ლაბორატორიის გამგესთან და სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით პროექტების წარდგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით ლაბორატორიული ბაზების სრულყოფაში და სამეცნიერო შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 20. ინჟინერი

- ჰიბრიდული კომპოზიტების ინგრედიენტების მოძიება;
- კომპოზიტების მიღების ტექნოლოგიური რეგლამენტების შემუშავებაში მონაწილეობა;
- მიღებული კომპოზიტების საექსპლუატაციო მახასიათებლების დადგენის პროცესში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, შესაბამისი ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 21. ლაბორანტი

- ლაბორატორიის მიმართულებით კვლევით სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

თავი VIII

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიების ცენტრის საბადოთა დამუშავების ლაბორატორია

მუხლი 22. ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

- ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა, სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა;
- სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ორგანიზება და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- ინსტიტუტის პროგრამით საბადოთა დამუშავების მიმართულებით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ლაბორატორიაზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით მომზადება/მონაწილეობის მიღება და პროექტების წარადგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- ლაბორატორიის საქმიანობის წარმართვა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტული ტექნიკური პირობების, ნორმების - წესების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;

- ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ლაბორატორიის სემინარული მუშაობის ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება, დავალებების გაფორმება და მათი მხრიდან შესრულების კონტროლი;
- ლაბორატორიის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეთანხმება;
- ინსტიტუტის დირექტორისთვის ლაბორატორიის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;
- საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლი;
- დირექციის წინაშე შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენა;
- ლაბორატორიის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში მონაწილეობა;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;
- ლაბორატორიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზება დადგენილი წესის მიხედვით;
- ორგანიზება და პასუხისმგებლობა სხვა ორგანიზაციებთან ლაბორატორიის პროფილით თანამშრომლობისათვის აუცილებელი მასალების, სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის და ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 23. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა ცენტრის დებულების, პროგრამის და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) დამოუკიდებლად განსაზღვრა და ლაბორატორიის გამგესთან ერთად ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა შესათანხმებლად;
- ლაბორატორიის პერსპექტიული კვლევების სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით მომზადება/მონაწილეობის მიღება და პროექტების წარდგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით ლაბორატორიული ბაზების სრულყოფაში და სამეცნიერო შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 24. მეცნიერი თანამშრომელი

- სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა ცენტრის დებულების, პროგრამის და ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) დამოუკიდებლად განსაზღვრა და ლაბორატორიის გამგის რეკომენდაციით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენა;
- ლაბორატორიის პერსპექტიული კვლევების სამუშაო გეგმის შედგენაში და სემინარულ მუშაობაში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და ლაბორატორიის გამგის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- ლაბორატორიის გამგის რეკომენდაციით, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- ლაბორატორიის გამგესთან და სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით პროექტების წარდგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან სხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით ლაბორატორიული ბაზების სრულყოფაში და სამეცნიერო შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 25. უფროსი სპეციალისტი

- სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გახსნისა და მომზადების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა თანამედროვე პროექტირების ავტომატიზირებული სისტემების საშუალებით;
- პროექტის გრაფიკული ნაწილის დამუშავება;
- სამთო საწარმოთა საინვესტიციო პროგრამების დამუშავება;
- რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ნახშირის სქელი ფენების ღრმა ჰორიზონტების დამუშავების ტექნოლოგიების კვლევა-დამუშავება;
- მანგანუმის საბადოების კომპლექსური ათვისების მეთოდების დამუშავება;

- ღია სამთო სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიების დამუშავება;
- სამთო მომპოვებელი მრეწველობის ეკოლოგიური პრობლემების კვლევა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 26. სპეციალისტი

- სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გახსნისა და მომზადების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში მონაწილეობის მიღება;
- რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ნახშირის სქელი ფენების ღრმა ჰორიზონტების დამუშავების ტექნოლოგიების კვლევა-დამუშავება;
- მანგანუმის საბადოების კომპლექსური ათვისების მეთოდების დამუშავება;
- ღია სამთო სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიების დამუშავება;
- სამთო მომპოვებელი მრეწველობის ეკოლოგიური პრობლემების კვლევა;
- საბადოების დაპროექტებისთვის, ფონდებში არსებული საინჟინრო-გეოლოგიური მასალების მოძიება და ანალიზი;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 27. ტექნიკოსი

- წიაღისეულის ღია და მიწისქვეშა წესით დამუშავებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში მონაწილეობა;
- საბადოთა დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;
- საქართველოში სამთო საწარმოთა განვითარების შესახებ სტატისტიკური ანალიზი;
- საბადოების დაპროექტებისთვის, ფონდებში არსებული საინჟინრო-გეოლოგიური მასალების მოძიება;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

მუხლი 28. ლაბორანტი

- ლაბორატორიის მიმართულებით კვლევით სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;

- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ცენტრის ხელმძღვანელის და ლაბორატორიის გამგის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

თავი IX

მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორია

მუხლი 29. ლაბორატორიის გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

- ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა, სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობის წარმართვა;
- სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ორგანიზება და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენა;
- სამეცნიერო საბჭოსთვის შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა;
- ინსტიტუტის პროგრამით, ანალიზური ქიმიის და წიაღისეულის გამდიდრების მიმართულებით, სპეციალური დავალებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ლაბორატორიაზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება;
- დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით მომზადება/მონაწილეობის მიღება და პროექტების წარადგენა დასაფინანსებლად საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
- ლაბორატორიის საქმიანობის წარმართვა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტული ტექნიკური პირობების, ნორმების - წესების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ლაბორატორიის სემინარული მუშაობის ხელმძღვანელობა;
- ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება, დავალებების გაფორმება და მათი მხრიდან შესრულების კონტროლი;
- ლაბორატორიის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეთანხმება;
- ინსტიტუტის დირექტორისთვის ლაბორატორიის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;
- საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლი;
- დირექციის წინაშე შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენა;
- ლაბორატორიის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში მონაწილეობა;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;
- კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;

- ლაბორატორიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზება დადგენილი წესის მიხედვით;
